ო, ქალებო! გაიღეთ მოწყალება (სადაყა), რადგან მე დამანახეს, რომ ჯოჯოხეთის მოსახლეთა უმეტესობა თქვენგან არიან, ქალებმა ჰკითხეს: "რის გამო, ო ალლაჰის მოციქულო?“ მან უპასუხა: «თქვენ ბევრს იწყევლებით და თქვენი ქმრების მადლიერები არ ხართ. მე არ მინახავს გონებისა და რელიგიის მხრივ ნაკლული არსება, რომელიც ჭკვიან და მტკიცე მამაკაცს ასე მოხიბლავდა, როგორც თქვენგან ერთ-ერთი

აბუ საიდ ალ-ხუდრიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გავიდა ყურბნის ან ფიტრის დრესასწაულზე – სალოცავად გამოვიდა და ქალებს ჩაუარა, შემდეგ უთხრა: «ო, ქალებო! გაიღეთ მოწყალება (სადაყა), რადგან მე დამანახეს, რომ ჯოჯოხეთის მოსახლეთა უმეტესობა თქვენგან არიან, ქალებმა ჰკითხეს: "რის გამო, ო ალლაჰის მოციქულო?“ მან უპასუხა: «თქვენ ბევრს იწყევლებით და თქვენი ქმრების მადლიერები არ ხართ. მე არ მინახავს გონებისა და რელიგიის მხრივ ნაკლული არსება, რომელიც ჭკვიან და მტკიცე მამაკაცს ასე მოხიბლავდა, როგორც თქვენგან ერთ-ერთი» ქალებმა კვლავ ჰკითხეს: "ო, ალლაჰის მოციქულო, რა არის ჩვენი რელიგიისა და გონების ნაკლულობა?" მოციქულმა უპასუხა: «განა ქალის მოწმობა მამაკაცის მოწმობის ნახევარს არ უდრის?» ქალებმა თქვეს: „დიახ.“ მან თქვა: «ეს არის მისი გონების ნაკლულობა. განა როდესაც ის მენსტრუაციაშია, ლოცვას და მარხვას არ ტოვებს?» ქალებმა უპასუხეს: „დიახ.“ მან თქვა: «ეს არის მისი რელიგიის ნაკლულობა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის დღეს სალოცავად გამოვიდა. მას უკვე აღთქმული ჰქონდა ქალებისთვის, რომ მათ ცალკე ქადაგებას წაუკითხავდა. იმ დღეს მან თავისი აღთქმა შეასრულა და თქვა: ო, ქალთა საზოგადოებავ! გაიღეთ საქველმოქმედო შესაწირი(სადაყა) და ხშირად ითხოვეთ ალლაჰისგან მიტევება, რადგან ეს ორი ყველაზე დიდი საშუალებაა ცოდვების მოსაშორებლად. რადგან ისრას ღამეს დაგინახეთ, რომ ჯოჯოხეთის მცხოვრებთაგან უმეტესობა თქვენგან იყო. მათგან ერთმა ქალმა, რომელსაც გონიერება, აზრი და სიმშვიდე ჰქონდა, ჰკითხა: ო, ალლაჰის მოციქულო! რატომ ვართ ჩვენ ჯოჯოხეთის მცხოვრებთაგან უმეტესობა? უპასუხა: ამის მიზეზია: თქვენ ბევრს იწყევლებით, შეურაცხყოფთ და უარყოფთ მეუღლის უფლებას. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღწერა ისინი: მე არ მინახავს გონებისა და რელიგიის ნაკლოვანება, რომელიც უფრო მეტად იპყრობს გონიერ, ჭკვიან და მკაცრ (გადაწყვეტილების მყარად დამჭერ) კაცს, ვიდრე რომელიმე თქვენგანი. ქალმა ჰკითხა: ო, ალლაჰის მოციქულო! რა არის გონებისა და რელიგიის ნაკლულობა? უპასუხა: რაც შეეხება გონების ნაკლულობას, ეს ისაა, რომ ორი ქალის მოწმობა უდრის ერთი მამაკაცის მოწმობას – ეს არის გონების ნაკლულობა, რელიგიის

ნაკლულობა კი ისაა, რომ ქალი გარკვეული დროით ვერ ასრულებს კეთილ საქმეს, რადგან მენსტრუაციის გამო რამდენიმე დღე და ღამე არ ლოცულობს და რამადანის დროს მარხვას ტოვებს – ეს არის რელიგიის ნაკლულობა, თუმცა, ისინი ამის გამო არ არიან გასაკიცხი და არც პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რადგან ეს მათი ბუნებრივი შექმნის ნაწილია, ისევე როგორც ადამიანი ბუნებრივადაა შექმნილი, რომ უყვარდეს სიმდიდრე, იყოს მოუთმენელი ან მცოდნე მცირე საკითხებში... და სხვა ამგვარი თვისებები, მაგრამ ამაზე ხაზგასმა გაკეთდა, რათა გონიერ ადამიანებს გაეფრთხილებინათ თავი ქალებისგან მომდინარე ცდუნებისგან.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/10011